ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N41

ქ.თბილისი 14 ივნისი, 2024 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ვლადიმერ ბოჟაძე
არჩილ გორდულაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ანა კილაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
რევაზ სოხაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ცირა შალოშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე დავით ბოდოკია.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და გამოეხმაურა ოპოზიციონერი კოლეგების მიერ იპოდრომის ტერიტორიასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს. მისი თქმით, ოპოზიცია ცდილობს „ქართუ ფონდს“ დააბრალოს იპოდრომის განადგურება მაშინ, როდესაც ყველამ კარგად იცის, თუ როგორი განაშენიანება იგეგმებოდა ამ ტერიტორიაზე წლების წინ - მთელ ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო მრავალსართულიანი კორპუსები და სამშენებლო პოლიგონად იყო გამოცხადებული ის ტერიტორია, სადაც დღეს დაწყებულია პარკის მშენებლობა. „ქართუ ფონდის“ მიერ მოხდა ამ ტერიტორიის გამოსყიდვა, მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემა და ამასთანავე, ფონდი აპირებს განახორციელოს დაახლოებით ორმოცი მილიონის ინვესტიცია პარკის მშენებლობისთვის და ამ ყველაფრის მერე, იმაზე საუბარი, რომ „ქართუ ფონდმა“ დააზარალა იპოდრომის ტერიტორია, სირცხვილია. აქვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი საკითხი ეხება არა იპოდრომის ტერიტორიას, არამედ ის არის განაპირა ტერიტორია, რომლის გარკვეულ ნაწილზე იგეგმება მშენებლობა ისე, რომ არ დაზარალდეს არსებული გამწვანებული სივრცე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ოპოზიციის მიერ გაჟღერებული ბრალდებები არის მათი პოლიტიკური დღის წესრიგი და დღეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იპოდრომი ნამდვილად არის გადარჩენილი და ძალიან დიდ ტერიტორიაზე, უახლოეს პერიოდში გვექნება საჩუქრად მიღებული თბილისის ცენტრალური პარკი.

რევაზ სოხაძემ ისაუბრა იპოდრომის ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტზე და აღნიშნა, რომ ცხადია, ოპოზიციის მხრიდან მოსალოდნელი იყო მსგავსი გამოხმაურება, რადგან ნებისმიერი ტიპის განაშენიანების დროს, მათი მხრიდან, ყოველთვის არის მსგავსი რეაგირება - საუბარი ურბანულ გენოციდზე და ა.შ. იპოდრომის მთელი კომპლექსის ტერიტორია იყო დაახლოებით 55 ჰექტარი, რომელიც, 2002 წელს, სახელმწიფოსგან იყიდა „ჟოკეი კლუბმა“, რის შემდეგაც დაიწყო განაშენიანება ე.წ. თავლების მხარეს, სადაც, დღეის მდგომარეობით, დაახლოებით 10 ჰექტარ ტერიტორიაზე, უამრავი სამშენებლო კომპლექსია აშენებული. 2009 წელს, ივანიშვილის კომპანიამ „ინვესტ კაპიტალმა“, შეიძინა დარჩენილი ტერიტორიის დიდი ნაწილი, სადაც, იმდროინდელი გენ.გეგმით, ვრცელდებოდა ყველაზე მაღალი ინტენსივობის ზონა - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2, დაშვებული იყო მშენებლობა და არსებობდა „ჟოკეი კლუბის“ დროს გაკეთებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მთელი ტერიტორიის განაშენიანებას, თუმცა, მას შემდეგ, რაც ტერიტორია შეიძინა „ქართუმ“, პროექტი შეჩერდა და მშენებლობა არ განხორციელებულა. რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის მხრიდან არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რადგან საუბრობენ იმაზე, რომ თითქოს მშენებლობა იგეგმება ის, სადაც უნდა გაკეთდეს პარკი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან მიმდინარე სხდომაზე განიხილება პროექტი, რომელიც უნდა განხორციელდეს თამარაშვილის ქუჩის მიმდებარედ. ხოლო რაც შეეხება პარკს, ეს არის დაახლოებით 40 ჰექტარი ტერიტორია, სადაც „ქართუ ფონდი“ განახორციელებს ცენტრალური პარკის მშენებლობას და ქალაქს ექნება რეკრეაციული სივრცე. რევაზ სოხაძის თქმით, გულდასაწყვეტია, როდესაც ოპონენტები საუბრობენ, რომ თითქოს დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს რეკრეაციული სივრცეების ხელყოფას, რადგან ბოლო წლების განმავლობაში ქალაქში განხორციელდა ათობით პროექტი და რეკრეაციული სივრცეები შეიქმნა, მათ შორის, ისეთ ადგილებში, სადაც მანამდე არასდროს ყოფილა და ასეთებია: თემქის ხევი, სადაც კეთდება საქალაქო მნიშვნელობის პარკი, სამგორის რაიონი, სადაც უამრავი პარკი მოეწყო და თბილისის ყველა რაიონში არაერთ ტერიტორიაზე ეწყობა პარკები, მათ შორის, „მზიურის“ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტმა კერძო მესაკუთრესთან განახორციელა მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს „მზიურის“ ტერიტორია. საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხი ეხება თამარაშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის განაშენიანებას, რომელიც არის 8 ჰექტარი, თუმცა, წარმოდგენილი საპროექტო წინადადების მიხედვით, ამ 8 ჰექტრიდან, პარკის მომიჯნავედ არსებული 4 ჰექტარი ტერიტორია იქნება გამწვანებული და რეალურად, ცენტრალურ პარკს კიდევ მიემატება რეკრეაციული სივრცე.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ დღეს, ის ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერდნენ იპოდრომის მთელ ტერიტორიაზე უზარმაზარ განაშენიანებას, ცდილობდნენ ეჩვენებინათ საზოგადოებისთვის თუ როგორ წუხან იმაზე, რომ მშენებლობა უნდა განხორციელდეს ამ ტერიტორიის მცირე ნაწილზე და თურმე, არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს ის, რომ დანარჩენი 40 ჰექტარი დაუბრუნდა თბილისს და იქ მოეწყობა პარკი. მისი თქმით, სწორედ ამაშია ორმაგი სტანდარტი და სწორედ იმიტომ არ ესწრებიან მიმდინარე სხდომას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, რომ მათი პოლიტიკური მემკვიდრეობაა ის, რაც უნდა მომხდარიყო იპოდრომის ტერიტორიაზე და არ ექნებოდათ მორალური და ეთიკური უფლება რაიმე ეთქვათ იქ განსახორციელებელ პროექტზე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ქალაქს, „ქართუ ფონდის“ დამსახურებით, ექნება ახალი და დიდი კეთილმოწყობილი ტერიტორია, ცენტრალური პარკის სახით, რომელსაც არასდროს არაფერი დაემუქრება და დაგეგმილი მშენებლობით შეემატება კიდევ ეროი საუკეთესო სამშენებლო პროექტი.

ანა კაკაბაძემ აღნიშნა, რომ დღეს არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე. ადგილობრივი თვითმმართველობის როლია იზრუნოს ყველა მოქალაქეზე, მიუხედავად მათი საჭიროებებისა და სწორედ ამიტომ თბილისის მერია ახორციელებს ძალიან ბევრ მნიშვნელოვან პროგრამას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურებას, რომელიც კიდევ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზაფხულის პერიოდში, რადგან ხშირ შემთხვევაში, ეს ბავშვები ცხოვრობენ ჩაკეტილ გარემოში და მნიშვნელოვანია, რომ მიიღონ სრული საკურორტო მომსახურება. გარდა ამისა, მათ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ფინანსური დახმარებები, თუმცა, მხოლოდ ფინანსური დახმარება არაფერია, თუ მუნიციპალიტეტი არ შეუწყობს ხელს, რომ სრულად მოახერხონ საკუთარი თავის ადაპტირება საზოგადოებაში, რაშიც მაქსიმალურად სჭირდებათ დახმარება და სწორედ ამიტომ, თბილისის მერიის მიერ განხორციელებული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი სრულად მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე. აქვე აღნიშნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ასევე, ფინანსდებიან განათლების მიმართულებითაც და მათი სწავლის საფასურს ბაკალავრის, მაგისტრატურის თუ დოქტორანტურის საფეხურზე, სრულად აფინანსებს თბილისის მერია. ანა კაკაბაძემ ისაუბრა პარასპორტის ცენტრზე, რომელიც ფუნქციონირებს თბილისის მერიის დაფინანსებით, აღნიშნა, რომ ყველამ იცის, როგორი წარმატებები აქვთ ჩვენს პარასპორტსმენებს და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ისინი, თბილისის მერიის მხარდაჭერით, კიდევ უფრო მეტ წარმატებას მიაღწევენ ჩვენი ქვეყნის სახელით. მისი თქმით, ეს არის ის მცირე ჩამონათვალი, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა ახორციელებს ჩვენი მოქალაქეებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ეს მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდეს და ამ მიმართულებით გაიზარდოს დახმარება. საუბრის ბოლოს, საქართველოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებს წარმატებები უსურვა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობისას და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ევროპის ჩემპიონატზე გასვლა არაფერია იმ წარმატებასთან, რაც წინ გველოდება.

ანა კილაძემ განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა იყოს საკრებულოს წევრი, ეცდება, თავისი დრო და ენერგია მაქსიმალურად მოახმაროს ქალაქის განვითარებას და მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობის საჭიროებების მოგვარებაში. ისაუბრა ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელსაც, მისი თქმით, ყოველდღიურად ამძიმებს „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“, განაცხადა, რომ, როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ასევე დღეს, უკვე ოპოზიციურ რანგში, ზიზღზე, დაშინებაზე, საზოგადოების გახლეჩვასა და საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის იმიჯის შელახვაზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოებით ცდილობენ თავიანთი ვიწრო პარტიული ინტერესების გატარებას და მიმართა მათ: „შეგახსენებთ, რომ თქვენ გქონდათ საკმარისი დრო იმისთვის, რომ ქვეყანა ევროატლანტიკურ სივრცესთან დაგეკავშირებინათ, თუმცა, თქვენი პოლიტიკა იყო ფასადური, როგორც ხელისუფლებაში ყოფნის დროს, ისე, ე.წ. „მთავარი ოპოზიციური პარტიის“ სტატუსის ქვეშ. თქვენ, დღეს, არა პოლიტიკის, არამედ ეროვნული იდეის ოპოზიციას წარმოადგენთ“. განაცხადა, რომ დღეს, ისინი იმყოფებიან ბოიკოტის რეჟიმში, თუმცა, საქართველოს

მოსახლეობისა და ქვეყნის ინტერესების მიმართ მათი ბოიკოტი უკვე ოცდაერთი წელია გრძელდება, დაწყებული ხელისუფლებაში ყოფნის დღიდან, დამთავრებული ოპოზიციურ რანგში. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ ყოველი დღე საკრებულოში და თავიანთი ენერგია მოახმარონ დედაქალაქის განვითარებას, თუმცა, ამის იმედი არ აქვს, რადგან არ ახსენდება მათი მხრიდან საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი არცერთი ინიციატივა, თუმცა, ახსენდება ბევრი ცრუ, გამოგონილი და პოლიტიკურად ანგაჟირებული განცხადება.

ლევან არველაძემ ისაუბრა დედაქალაქში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ, დასრულდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი - ბაგების და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა და განაცხადა, რომ აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილებას. აქვე აღნიშნა, რომ დღეს, საზეიმოდ იხსნება ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში და საქართველოს ეროვნულ ნაკრებს წარმატებები უსურვა.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციონერი კოლეგები ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „თბილისს არ უხდება მრავალსართულიანი სახლები და არ არის საჭირო ქალაქში ვაშენოთ მრავალსართულიანი სახლები". დღესაც, საუბრობდნენ იმაზე, რომ „ეს არ არის ევროპული და ეს არ არის დასავლური" მაშინ, როდესაც ეს ადამიანები ნამყოფები არიან ევროპაშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და ძალიან კარგად იციან, რა შენობები დგას იქ. თბილისში, დღეს, სამწუხაროდ, არ არის ბევრი მაღალი კლასის შენობა, რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, პირიქით, მისასალმებელია თანამედროვე, მრავალსართულიანი შენობების მშენებლობა იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს შესაძლებელია. აქვე აღნიშნა, რომ სამშენებლო ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად იზრდება და ჩვენ არ გვინდა დავრჩეთ რკინა-ბეტონის და ალიზით ალესილი სახლების ამარა და ამიტომ, როგორც სპეციალისტი, არა თუ მხარს უჭერს მსგავსი ტიპის შენობების არსებობას თბილისში, არამედ უფრო მეტიც, ფიქრობს, რომ ასეთი შენობების რაოდენობა უნდა მომრავლდეს, რადგან თუ ვიმსჯელებთ ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითებზე, ასეთი ტიპის შენობებში ცხოვრება და მუშაობა გაცილებით უფრო კომფორტულია.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ იპოდრომის ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტთან დაკავშირებით ბევრი რამ მოვისმინეთ „ქართული ოცნების" წევრებისგან, თუმცა, არცერთი არგუმენტი არ მოგვისმენია ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან. დღეს, ჰქონდა მოლოდინი, რომ ოპოზიციონერი კოლეგები დაესწრებოდნენ საკრებულოს სხდომას და თავიანთ არგუმენტებს გააცნობდნენ მოსახლეობას, თუმცა, ასე არ მოხდა, რაც მისთვის გაუგებარია, რადგან ფიქრობს, რომ, როდესაც თავი მართალი გგონია და დარწმუნებული ხარ, რომ ქალაქში „ურბანული გენოციდია", არ შეიძლება გააცდინო ისეთი მნიშვნელოვანი სხდომა, სადაც, მათი აღმით, ხდება „დედაქალაქის დასამარება". მაგრამ, ფაქტია, რომ ოპოზიცია არ ესწრება მიმდინარე სხდომას და, მისი თქმით, ეს ხდება იმიტომ, რომ ისინი აპირებდნენ იპოდრომის ტერიტორიის სრულად განაშენიანებას, რაც, საბედნიეროდ, არ მოხდა, ეს ტერიტორია დღეს გადარჩენილია და დაუბრუნდა ქალაქს. კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები მოსახლეობას ეუბნებიან, რომ განაშენიანება მიმდინარეობს იპოდრომის ტერიტორიაზე, რაც არის ტყუილი, რადგან ის სივრცე, სადაც არის საფეხმავლო ბილიკი, მთლიანად დარჩება საზოგადოებრივ სივრცედ, სადაც მოეწყობა პარკი და განაშენიანება მოხდება თამარაშვილის ქუჩის მხარეს. აქვე განაცხადა, რომ მისთვის ასევე, გაუგებარია რატომ არის „კატასტროფა და ურბანული გენოციდი" მაღალსართულიანი კორპუსები, რადგან ძალიან ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს მოსწონს მრავალსართულიანი შენობები და თუ ავიღებთ სხვა ქვეყნების მაგალითს, ფაქტია, რომ ეკონომიკური განვითარება მიბმულია მშენებლობაზე და ქალაქის გალამაზებაზე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საუბარი არ არის მსგავსი მშენებლობების წარმოებაზე ძველ თბილისში, თუმცა, იქ, სადაც ქალაქი იძლევა ამის საშუალებას, გაუგებარია, რატომ არ უნდა განვვითარდეთ ამ მიმართულებით, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ფაქტია, რომ ამ ქალაქში ახალი მიზიდულობის ცენტრები გახდა ისეთი

მაღალსართულიანი შენობები, როგორებიცაა: ჭავჭავაძეზე „ჰილტონი“ და „აქსის თაუერსი“, „ქინგ დავიდის“ შენობა და სხვა.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა: „ბიძინა ივანიშვილს უწუნებენ ქველმოქმედებას, უწუნებენ და არ უთვლიან ქველმოქმედებაში იოანე ზოსიმეს ხელნაწერის გამოსყიდვას და დაბრუნებას ჩვენს ქვეყანაში, უწუნებენ 45 ჰექტარის გამოსყიდვას და მერე 40 ჰექტარის ქალაქისთვის ჩუქებას და 41 მილიონი ლარის დახარჯვას იმისათვის, რომ დედაქალაქს ჰქონდეს ცენტრალური პარკი. თურმე, ამ ადამიანებისთვის ქველმოქმედება ყოფილა ქართული ჯარის გამარცვა, ევროპელი პენსიონერების გამარცვა, სააკაშვილის პენსიონერი დედისთვის მილიონის გადახდა იმაში, რომ დისკრედიტაცია მოეხდინა ჩვენი სახელმწიფოსი. თურმე, ქველმოქმედება ყოფილა ყოფილი მერის, უგულავას მიერ, 50 მილიონის მოპარვა ჩვენი თბილისელებისთვის. ამას ეძახის ეს ხალხი ქველმოქმედებას, თუმცა, საზოგადოება ძალიან კარგად ხედავს და არჩევს, რა არის ქველმოქმედება და საკუთარი ქვეყნის სიყვარული და პირიქით, რა არის ქვეყნის ღალატი. ქვეყნის ღალატი არის ტერიტორიების დაკარგვა და რუსეთისთვის ენერგოობიექტების გადაცემა, მათ შორის, 2011 წელს, „რაოესისთვის“ დედაქალაქის გამანაწილებელი „თელასის“ გადაცემა, ორი ჰესის გადაცემა და პირობა, რომ 2011 წლიდან მომავალი 15 წლის განმავლობაში დენს არ გააიაფებდნენ და ბოლომდე გააღატაკებდნენ თბილისელებს - ეს არის ღალატი, ჩემო მეგობრებო და მინდა ვთხოვო თბილისელებს - კარგად შეხედონ ამ ცარიელ ადგილებს, ცარიელ სკამებს და დაფიქრდნენ, ვის მისცეს ხმა, ვინ მოიყვანეს თბილისის საკრებულოში - ვისაც ერთი კეთილი საქმე არ გაუკეთებიათ არც ამ ქალაქისთვის და არც ამ ქვეყნისთვის... მინდა, წარმატება ვუსურვო ჩვენს ქალაქს, ბევრი საინტერესო პროექტი უკვე განხორციელდა დედაქალაქში, ძალიან ბევრი საინტერესო პროექტი გველოდება დედაქალაქშიც და ქვეყანაშიც, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ კიდევ უფრო უსაფრთხო იყოს ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება, კიდევ უფრო გავაძლიეროთ მშვიდობაც, სტაბილურობაც და განვითარებაც“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/ რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ცირა შალოშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

6. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ. 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის“ პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ბოდოკია

7. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს (ს/ნ. 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების“ პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ბოდოკია

8. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ. 202887787) დაშლის/ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში მდებარე, N01.19.20.020.080.01.01.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 75.00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N42-ში მდებარე, N01.17.10.002.306.01.07.320 და N01.17.10.002.306.01.07.317 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32-ში არსებული 16.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.036.022.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3-ში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N339-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.012.006.01.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში არსებული 20.68 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036.01.218) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქ.თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.014.109) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/ნ. 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქ.თბილისში, კოტე აფხაზის ქ.N15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის“ (ს/ნ. 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქ.თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით ირმა ღვინაშვილისთვის (პ/ნ. 01006018823) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუხრა ტატიშვილისთვის (პ/ნ. 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ში არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 194 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.686) და ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქ.N21-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.20.01.173.503) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. 01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: არჩილ გორდულაძე

23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რკინიგზას ქუჩა N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.011.127, ფართობი - 4953 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N345 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

28. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: ვასილ აბულაძე

29. „ქ.თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.942; N81.02.19.943; N81.02.19.941; N81.02.97.505; N81.02.19.944; N81.02.19.945)

ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.02.740; N81.02.02.738; N01.81.02.294.001-ის ნაწილი) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

31. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში, ქალაქ თბილისში, სოფელი დიღმის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.039; N01.72.14.004.037; N01.72.14.094.499; N01.72.14.004.040; N01.72.14.053.413; N01.72.14.004.256) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

32. „ქ.თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

33. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

34. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

35. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685; N01.72.14.234.010; N01.72.14.009.631; N01.72.14.009.634; N01.72.14.013.910; N01.72.14.234.009) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

36. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.001.419; N01.14.01.001.420; N01.14.01.001.421; N01.14.01.001.505-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ

ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

37. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, (ნაკვეთი 04/007); ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, (ნაკვეთი 04/011) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.18.004.007; N01.19.18.004.074) ავტო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

38. „ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.16.004.272; N01.10.16.004.283; N01.10.16.004.285; N01.10.16.004.284) მრავალფუნქციური და მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 1490000 ლარით. თანხა მიმართული იქნება გზების მშენებლობაზე, ეკოპოლიტიკის მიმართულებაზე და ასევე, წარმოდგენილია შიდა გადანაწილებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N84-64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ პროექტით

წარმოდგენილია რამდენიმე ცვლილება: დამატებულია რამდენიმე ტერმინის განმარტება; დაზუსტდა ჩამონათვალის რაოდენობა მედიკამენტისგან განსხვავებულ საჭიროებებთან დაკავშირებით; ჩამოყალიბდა კომისიის მიერ განაცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლები; სამთვიან ვადასთან დაკავშირებით გამონაკლისებში დაემატა რამდენიმე შემთხვევა; განისაზღვრა მიმწოდებლის მიერ დოკუმენტაციის მოდულში ატვირთვისთვის დადგენილი ვადების ცვლილების დასაშვებობა და დაემატა მუხლები ელექტრონული რეესტრის წარმოების პროცედურების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების ქვეპროგრამაში, კერძოდ, ელექტრონულ მოდულთან დაკავშირებით შეცვლილია თარიღი, რომლის მიხედვითაც დამუშავდება ინფორმაცია.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 15

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების/აღდგენის/რესტავრაციის/ რეკონსტრუქციის და მემორიალური დაფის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53-33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ცირა შალოშვილმა და განმარტა, რომ დღეს მოქმედი რეგულაციის თანახმად, მემორიალური დაფის განთავსება ხდება მემორიალიზებული პირის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ და არსებობს საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც განმცხადებელს შეუძლია, რომ ამ ცენზის დაცვის

გარეშე მიმართოს მერიას საკითხის განსახილველად. წარმოდგენილი ცვლილებით, ხსენებულ საგამონაკლისო შემთხვევებს ემატება კიდევ ერთი შემთხვევა, რომლის თანახმადაც ნებისმიერი დაინტერესებული პირი შეძლებს მიმართოს მერიას მემორიალური დაფის განთავსების მოთხოვნით იმ პირის გარდაცვალებისთანავე, რომელიც იყო თბილისის საპატიო მოქალაქე.

კონსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ გლდანის რაიონში არის ლევან კბილაშვილის ქუჩა და მის ოჯახს სურს, რომ საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა, თუმცა, მისი გარდაცვალებიდან გასულია ერთ წელზე მეტი. კონსტანტინე ზარნაძის ინფორმაციით, განცხადება შეტანილია მერიაში, თუმცა, უარი ეთქვა იმ მიზეზით, რომ გარდაცვალებიდან გასული არ არის ხუთი წელი და დაინტერესდა, იქიდან გამომდინარე, რომ ქუჩას ქვია ლევან კბილაშვილის სახელი, შესაძლებელია თუ არა, რომ გამონაკლისის სახით, მოხდეს მემორიალური დაფის განთავსება.

ცირა შალოშვილმა განმარტა, რომ გამონაკლისები ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც არსებობს ქუჩის სახელდება და პირი დაკძალულია პანთეონში, ხოლო დღეს ემატება მესამე საგამონაკლისო შემთხვევა. რამდენადაც მისთვის ცნობილია, ამ საკითხთან დაკავშირებით განცხადება წარდგენილია მერიაში, თუმცა, უცნობია უარის თქმის საფუძველი და დააზუსტებს, ხომ არ არის რაიმე ხარვეზი.

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილება არის ძალიან მნიშვნელოვანი და ხორციელდება საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით. მისი თქმით, ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც, შეთავაზების მიუხედავად, ოჯახის წევრები უარს ამბობენ იმ ადამიანის პანთეონში დაკრძალვაზე, რომელსაც ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის ქვეყნის წინაშე და მიღებული აქვს უამრავი ჯილდო, რაც, თავის მხრივ, ამ პიროვნების მემორიალური დაფის განთავსებისთვის იყო ჩამკეტი ბარიერი და დღეს წარმოდგენილი ცვლილებით, თუ პირს მინიჭებული ექნება საპატიო თბილისელის ტიტული, იმოქმედებს საგამონაკლისო წესი. გამოეხმაურა კონსტანტინე ზარნაძის მიერ ხსენებულ საკითხს, განაცხადა, რომ აღნიშნული დადებითად შეფასდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ და ამ ეტაპზე გადასულია მიზანშეწონილობის კომისიაში. აქვე, განმარტა, რომ წესი, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს აპრიორი მემორიალური დაფის განთავსებას, საგამონაკლისო შემთხვევები გულისხმობს განცხადების მიღების დაშვებას და ყველა დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, მიზანშეწონილობის კომისიას რჩება უფლება იმსჯელოს და გადაწყვიტოს, განთავსდეს თუ არა მემორიალური დაფა ამა თუ იმ საცხოვრებელ სახლზე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-91 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ საკანონმდებლო აქტში განხორციელებული ცვლილებებით, დაზუსტდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების სახეობები და განისაზღვრა, რომ ესენია: ტოტალიზატორი, სამორინე და სათამაშო აპარატების თამაშობები და აქედან გამომდინარე, საკრებულოს დადგენილების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წარმოდგენილია შესაბამისი ცვლილებები.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს (ს/ნ. 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის" პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის მოადგილე დავით ბოდოკიამ და განმარტა, რომ პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის „იბიარდის" მიერ. სასესხო თანხა შეადგენს 20000000 ევროს, საიდანაც 4000000 ევრო „იბიარდის" მმართველობის ქვეშ მყოფმა ფონდმა მუნიციპალიტეტს მისცა, როგორც გრანტი. აღნიშნულ პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ნარჩენების პოლიგონზე გაზშემკრები სისტემის დაყენებას, სადაც უჯრედებიდან მიღებული გაზი გროვდება და გარდაიქმნება ელექტროენერგიად, საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად, შედგენილია კონცეპტუალური დიზაინი და მუშავდება ე.წ. ტექნიკური სპეციფიკაციები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „თბილსერვის ჯგუფი"-ს (ს/ნ. 206267494) შორის, „თბილისის ნარჩენების გადამუშავების" პროექტთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულების ხელმოწერაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის" დირექტორის მოადგილე დავით ბოდოკიამ და განმარტა, რომ პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის „იბიარდის" მიერ, სესხის თანხა შეადგენს 26000000 ევროს, საიდანაც 4000000 ევრო არის უპროცენტო სესხი. აქვე განმარტა, რომ ამ თანხით შენდება ქარხანა და მექანიკურ-ბიოლოგიური დამუშავების ობიექტი, რომელიც ნარჩენს გახდის სტაბილიზირებულს, რაც მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის" დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ საკითხი გამომდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებებიდან, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ, მიღებული იქნა კანონი „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხის და

უსაფრთხოების შესახებ“, რომელმაც დაადგინა ახალი რეგულაციები. კანონის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ 2024 წლის პირველ ივლისამდე, სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით არსებული დაწესებულებები აუცილებლად უნდა დაფუძნდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებად. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დაფუძნება, რომელიც აქამდე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იყო როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. აქვე აღნიშნა, რომ არავითარი ცვლილება არ ხორციელდება სტრუქტურაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ (ს/ნ. 202887787) დაშლის/ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი დაკავშირებულია ა(ა)იპ „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ დაფუძნებასთან, რომელსაც გადაეცა შპს-ს აქტივები და შესაბამისად, საჭიროა შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის“ ლიკვიდაცია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში მდებარე, N01.19.20.020.080.01.01.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 75.00 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ავარიული შენობების ჩანაცვლების ფარგლებში, ფართების მონაცვლეობის საკითხი. კერძოდ, მოქალაქეს გადაეცემა ლევან მაჭავარიანის ქ.N11-ში მდებარე 75 კვ.მ. ფართი, რომლის სანაცვლოდაც მუნიციპალიტეტი საკუთრებაში იღებს 86 კვ.მ. ავარიულ ფართს და 12 კვ.მ. სარდაფს. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი ფიზიკურ პირს, რემონტისთვის, დამატებით უხდის 1 კვ.მ.-ზე 286 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N42-ში მდებარე, N01.17.10.002.306.01.07.320 და N01.17.10.002.306.01.07.317 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ე.წ. „წითელი აგურების“ კორპუსის პროექტი, რომლის ფარგლებშიც ორ პირს გადაეცემა 66-66 კვ.მ. ფართები, ხოლო სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტს გადმოსცემენ მათ საკუთრებაში არსებულ ფართებს, რომლებიც შემდგომში დაუკანონდებათ თვითნებურად შეჭრილ პირებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, სერგი წულაძის ქუჩა N32-ში არსებული 16.40 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.12.036.022.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3-ში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N339-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.012.006.01.028) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 88 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1995 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 141 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2012 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, კორპუსი N5-ში არსებული 20.68 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.036.01.218) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 20 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქ.თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.014.109) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/ნ. 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 11100 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქ.თბილისში, კოტე აფხაზის ქ.N15-ში მდებარე 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.038.042) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ხალედ ალრაჯჰი ჰოლდინგ კომპანისთვის“ (ს/ნ. 445483343) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 32 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 9600 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქ.თბილისში, კანდელაკის ქუჩა N2-ში არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.024) პირდაპირი განკარგვის წესით ირმა ღვინაშვილისთვის (პ/ნ. 01006018823) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა კიბის საფეხურის მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 288 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.16.05.032.024) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუბრა ტატიშვილისთვის (პ/ნ. 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 7200 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი N67-ში არსებული 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.12.009.008) პირდაპირი განკარგვის წესით სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/ნ. 204854595) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 18 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა შშმ პირებისთვის პანდუსის მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა 2027 წლის 3 დეკემბრამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2592 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ბაგების სატყეო უბანში მდებარე 194 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.09.008.686) და ქალაქ თბილისში, დიმიტრი (დიმა) ბათიაშვილის ქ.N21-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.20.01.173.503) მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ კერძო საკუთრებაში არსებული ორი მიწის ნაკვეთი მდებარეობს სატყეო ზონაში, რომლებიც დაუბრუნდება მუნიციპალიტეტს, ხოლო კერძო მესაკუთრეს გადაეცემა საცხოვრებელ ზონა 1-ში არსებული ორი მიწის ნაკვეთი. ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთებს შორის არსებული ფასთა შორის სხვაობა არის განმცხადებლის სასარგებლოდ, კერძოდ, მუნიციპალური ქონების ღირებულება ჯამში არის 218000 ლარი, ხოლო ფიზიკური პირის საკუთებაში არსებული მიწის ნაკვეთების - 230000 ლარი, თუმცა, ის უარს აცხადებს სხვაობის მიღებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმეს ქ.N37 (ს/კ: 01.10.14.024.036), ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ. 01.14.11.024.004), ქ.თბილისი, ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ. 01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებთა დაცვის კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს „ათორის“ დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებული რამდენიმე პირისთვის ფინანსური ვალდებულების გაცემის საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რკინიგზას ქუჩა N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.011.127, ფართობი - 4953 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 ივლისის N345 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება გამოწვეულია დაინტერესებული პირის მიერ იმ ხელშემწყობი ღონისძიებების ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით, რაც განხორციელდა რკინიგზის ქ.N22-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.002.244, ფართობი - 2545 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, მარატ ნოზაძის ქუჩა N37-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც ნიშნავს ორი სართულის მომატებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 312000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით შედგენილ ელექტრონულ საჯარიმო ქვითრებზე განხორციელებულ გადახდებზე გასატარებელი რიგი ღონისძიების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N86 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს უბილეთო მგზავრობასთან დაკავშირებით ბარათის ნომრის გარეშე გადახდას, რის შედეგადაც გადახდა ჩაეთვლება ასეულობით ადამიანს. მისი თქმით, ხსენებული არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის პრობლემას, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ, ხშირ შემთხვევაში, ბანკის თანამშრომლებს ავიწყდებათ ოქმის ნომრის მითითება, რის გამოც ხდება ამ პრობლემის წარმოქმნა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია რამდენიმე ცვლილება: მტკიცდება ვიდეოფირებისა და აუდიო მონიტორინგის განხორციელების ინსტრუქცია - განისაზღვრება შესაბამისი პირი, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი იქნება მათ წაშლასა და შენახვაზე; პერსონალურ მონაცემთა

დაცვის შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ემატება მონაცემების დაცვის ოფიცერის თანამდებობა, რომელიც ექვემდებარება უშუალოდ ხელმძღვანელს; ემატება ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე N15-ში მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მართვის N1 და გელოვანის ტერიტორიაზე მდებარე N2 სამსახურები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს „GWP“-ს, „თელასის“ და სხვადასხვა კომპანიების მიმართ დაწესებული უპირობო შეღავათის ამოღებას და კონკრეტულ შემთხვევაში, თბილისის მთავრობა იმსჯელებს ეკუთვნის თუ არა და საჭიროებს თუ არა ესა თუ ის კომპანია შეღავათით სარგებლობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინეს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ოთარ ჩიტიძემ და ვასილ აბულაძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032415131-03 თარიღი: 30.05.2024, N12-032415215-03 თარიღი: 31.05.2024, N12-032415859-03 თარიღი: 06.06.2024, N12-032415876-03 თარიღი: 06.06.2024, N12-03241632-03 თარიღი: 11.06.2024, N12-032416472-03 თარიღი: 12.06.2024 და N12-032408772-03 თარიღი: 27.03.2024 (განსახილველად წარმოდგენილია „ბ“ პოზიცია), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032415859-03 წერილით წარმოდგენილი „ბ“ პოზიცია და N12-032415131-03 წერილით წარმოდგენილი „დ“ პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქ.თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.942; N81.02.19.943; N81.02.19.941; N81.02.97.505; N81.02.19.944; N81.02.19.945) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 11700 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ათი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.02.740; N81.02.02.738; N01.81.02.294.001-ის ნაწილი) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 6800 კვ.მ., სადაც, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

31. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში; ქალაქ თბილისში, სოფელი დიღმის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.004.039; N01.72.14.004.037; N01.72.14.094.499; N01.72.14.004.040; N01.72.14.053.413; N01.72.14.004.256) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

32. „ქ.თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.13.589; N81.02.13.588; N81.02.13.590; N81.02.13.587; N81.02.19.647; N81.02.19.670) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 38000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ოცდათოთხმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ერთ სექტორს, რომლის საერთო ფართია 2772 კვ.მ. და ითვალისწინებს დადგენილი კ2 კოეფიციენტის - 1.5-ის სრულად ათვისებას, რის შედეგადაც ორსართულიან კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობას დაემატება ერთი სართული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 47000 კვ.მ., სადაც, არსებული ფუნქციური ზონის - საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.685; N01.72.14.234.010; N01.72.14.009.631; N01.72.14.009.634; N01.72.14.013.910; N01.72.14.234.009) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 28000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ხუთი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.01.001.419; N01.14.01.001.420; N01.14.01.001.421; N01.14.01.001.505-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება დაბალი ინტენსივობის, ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, (ნაკვეთი 04/007); ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, (ნაკვეთი 04/011) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.18.004.007; N01.19.18.004.074) ავტო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ოფისი, ავტომომსახურების ცენტრი და დამხმარე ნაგებობები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „ქალაქ თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.16.004.272; N01.10.16.004.283; N01.10.16.004.285; N01.10.16.004.284) მრავალფუნქციური და მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 80000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება მრავალბინიანი და მრავალფუნქციური კომლექსი, რომლის 76% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 24% კომერციულ ფუნქციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

39. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 9 დადგენილება და 30 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე — გიორგი ახვლედიანი